საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების

მინისტრის

ბრძანება №86

2001 წლის 2 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოების ფუნქციონირების წესის და პირობების“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოების ფუნქციონირების მოწესრიგების, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბრის № 581 ბრძანებულების მოთხოვნების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოების ფუნქციონირების წესი და პირობები“.
2. ბრძანება ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.

მ. ადეიშვილი

ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოების ფუნქციონირების წესი და პირობები

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოების ფუნქციონირების წესსა და პირობებში (შემდგომში – წესი) გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბილეთი (სამგზავრო ბილეთი და საბარგო ქვითარი) – საბუთი, რომელიც ადასტურებს მგზავრის გადაყვანის და მისი ბარგის გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობას;

ბ) დაჯავშნა მგზავრის გადასაყვანად საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების წინასწარი გამოყოფა, გადაყვანის ხელშეკრულების გაუფორმებლად;

გ) ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) – საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საწარმო და/ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც უშუალოდ ან თავისი ფილიალის მეშვეობით წინამდებარე წესის შესაბამისად ახორციელებს ავიაგდმზიდველთა სამგზავრო მოცულობების დაჯავშნას და რეალიზაციას;

დ) სააგენტოს ფილიალი – სააგენტოს ძირითადი ოფისისაგან ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების დაჯავშნას და რეალიზაციას;

ე) ვალიდატორი – სააგენტოს მიერ ავიაბილეთის რეალიზაციის დასადასტურებელი შტამპი, რომელშიც სავალდებულოდ აღინიშნება სააგენტოს სახელწოდება და უწყებრივი რეესტრის ნომერი;

ვ) სერტიფიკატი– სააგენტოს ამ წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სააგენტოს ოპერატორი– სააგენტოს თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სამგზავრო მოცულობების დაჯავშნას და/ან რეალიზაციას;

თ) საერთაშორისო სერტიფიკატის აღიარება – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციის (ასოციაციის, გაერთიანების, პალატის) გაცემული სერტიფიკატით (ლიცენზიით გათვალისწინებული უფლებების აღიარება- დადასტურება);

ი) IATA – საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია;

კ) დაჯავშნის და რეალიზაციის ავტომატიზირებული სისტემა – სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ავტომატიზირებული სისტემა, რომლითაც ხორციელდება საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების დაჯავშნა და რეალიზაცია;

ლ) ავიაბილეთების შევსების ავტომატიზირებული მოწყობილობა – მოწყობილობა, რომლის საშუალებით სააგენტოს ოპერატორს შეაქვს სათანადო მონაცემები სამგზავრო ბილეთებში ავტომატიზირებული მეთოდით;

მ) სამგზავრო მოცულობა – საჰაერო ხომალდის სალონში მგზავრის (ბარგის, ხელბარგის) ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული ადგილი.

მუხლი 2. წესის რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს წესი შემუშავებულია საქართველოს კანონის „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო

მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“, ”მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბრის N 581 ბრძანებულების „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად და აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოების (შემდგომში – სააგენტო) საქმიანობას, ადგენს სააგენტოების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს.

2. ამ წესის მოთხოვნები ვრცელდება ეროვნულ გადამზიდველზე, უცხო გადამზიდველის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ავიაგადამზიდველის წარმომადგენლობაზე, საწარმოზე და/ან ინდივიდუალურ მეწარმეზე მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებულნი და ახორციელებენ საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების დაჯავშნას და რეალიზაციას.

3. წესის მიზანია:

ა) საჰაერო მიმოსვლის სფეროში საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

ბ) საჰაერო ტრანსპორტის მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;

გ) საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების დაჯავშნა და რეალიზაცია და ამ მიზნით თანამედროვე ავტომატიზირებული სისტემების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) საქართველოს საავიაციო ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევის ხელშეწყობა;

ე) საქართველოს საავიაციო ბაზრის რეგულირება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

ვ) საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების რეალიზაციაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება.

4. საქართველოს ტერიტორიაზე ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების დაჯავშნა და რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე.

5. სააგენტოების ფუნქციონირების წესის და პირობების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია.

მუხლი 3. სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტოს
სერტიფიკაცია

1. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში სააგენტოს სერტიფიკატის გაცემით დასტურდება მოქმედი კანონმდებლობით რეგისტრირებული სააგენტოს შესაბამისობა ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. საერთაშორისო სერტიფიკატის აღიარება ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

3. სააგენტოების შესაბამისობის სერტიფიკატს გასცემს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია.

4. სერტიფიკაციას ექვემდებარება ამ წესის მე-2 მუხლის მეორე პუნქტში მითითებული იურიდიული და ფიზიკური პირი, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უფლება აქვთ ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სერტიფიკატების გამცემი ორგანოს უფლებები და პასუხისმგებლობა

1. სერტიფიკატის გამცემი ორგანოა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომელიც ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს:

ა) სააგენტოს სერტიფიკაციას;

ბ) აწარმოებს უწყებრივ რეესტრს;

გ) ახორციელებს ზედამხედველობას ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვაზე.

2. სერტიფიკატის გამცემი ორგანოს პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 5. სააგენტოს ფუნქციონირების წესი და პირობები

1. სააგენტოს უნდა გააჩნდეს:

ა) შენობა (ან შენობის გარკვეული ნაწილი) საკუთრების ან არენდის (იჯარის) ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფართი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 (ათ) $მ^2$;

ბ) ბილეთების დაჯავშნის და რეალიზაციის საერთაშორისო ავტომატიზირებული სისტემა;

გ) კავშირგაბმულობის საშუალებები;

დ) სარეკლამო საშუალებები, რომელზედაც აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული სააგენტოს საფირმო დასახელება ქართულ ენაზე;

ე) ვალიდატორი;

ვ) იმ ფართის (შენობის) დაცვის უზრუნველსაყოფი საშუალებანი (დაცვა ან დამცავი სიგნალიზაცია), სადაც უნდა განხორციელდეს სამგზავრო მოცულობების რეალიზაცია;

ზ) რკინის კარადა ან კედელში ჩამონტაჟებული სეიფი;

თ) სათანადო კვალიფიკაციის მქონე საოპერატორო პერსონალი;

ი) ავიაბილეთების შევსების ავტომატიზირებული მოწყობილობა.

2. სააგენტოს ოპერატორს უნდა გააჩნდეს:

ა) სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული, ოპერატორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი კურსების (პროგრამის) გავლის მოწმობა (სერტიფიკატი), რომელიც გაცემულია 1999 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ოპერატორის მიერ კვალიფიკაციის დადასტურების სათანადო დოკუმენტის განახლება უნდა განხორციელდეს ამ მოწმობით (სერტიფიკატით) განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) ნასამართლობის ცნობა;

გ) ოპერატორი უნდა ფლობდეს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაო) ერთ-ერთ ენას (ინგლისური და/ან რუსული).

3. სააგენტოში წარმოებული საქმიანობა უნდა იყოს დაკავშირებული მხოლოდ საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების დაჯავშნასა და რეალიზაციასთან, საჰაერო რეისით ტურიზმის განვითარებასთან და ხელშეწყობასთან.

4. აეროვაგზალში განლაგებულ სააგენტოზე (ფილიალებზე) არ ვრცელდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები ფართის მინიმალური ოდენობის თაობაზე.

5. სააგენტოს ფილიალებზე და სააგენტოებზე წაყენებული მოთხოვნები იდენტურია, გარდა იმისა, რომ სააგენტოს ფილიალებს არ მოეთხოვებათ ბილეთების დაჯავშნის და რეალიზაციის ავტომატიზირებული სისტემით აღჭურვა.

სააგენტო და სააგენტოს ფილიალებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უწყვეტი კავშირგაბმულობა.

6. საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი სააგენტო ამ სერტიფიკატის აღიარებისათვის უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“ ქვეპუნქტების და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

7. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ამ მუხლის და მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად იხილავს სერტიფიკატის გაცემის საკითხს.

8. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია სააგენტოს ანიჭებს შესაბამისობის სერტიფიკატს.

9. საერთაშორისო სერტიფიკატის აღიარებისათვის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია იხილავს ამ მუხლის მე-6 პუნქტით და მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს და მათი დადებითი შეფასების შემთხვევაში ახდენს სააგენტოს უფლებების აღიარებადადასტურებას.

10. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოსათვის სერტიფიკატის გაცემის ან უარის თქმის შესახებ, სააგენტოს მიერ განცხადების წარმოდგენიდან ორი კვირის განმავლობაში.

მუხლი 6. სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. სააგენტოს შეიძლება უარი ეთქვას სერტიფიკატის გაცემაზე, თუ:

ა) სააგენტო არ კმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეათე და მეთორმეტე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) სააგენტო ითხოვს სერტიფიკატს იმავე საქმიანობაზე, რომელზედაც მას უკვე გაუუქმდა სერტიფიკატი და გაუქმებიდან არ გასულა 1 (ერთი) წელი.

2. გადაწყვეტილებაში უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული უარის თქმის საფუძვლები. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 7. უწყებრივი სარეგისტრაციო რეესტრი

1. უწყებრივი სარეგისტრაციო რეესტრს (შემდგომში – რეესტრი) აწარმოებს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია.

2. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) სააგენტოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

ბ) საფირმო სახელწოდება;

გ) საერთაშორისო სერტიფიკატის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მონაცემები;

დ) მისამართი, სადაც ხორციელდება სამგზავრო მოცულობების რეალიზაცია;

ე) სერტიფიკატის გაცემის და მისი მოქმედების ვადა;

ვ) სერტიფიკატის გაუქმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს რეესტრის მონაცემებს.

მუხლი 8. სერტიფიკატის მოქმედების ვადა

1. სერტიფიკატის მოქმედების ვადა შეადგენს 2 (ორ) წელს.

სერტიფიკატის მოქმედების ვადა საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელ და აღიარებული სააგენტოებისათვის განისაზღვრება ამ საერთაშორისო სერტიფიკატის მოქმედების ვადით.

2. სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში ახალი სერტიფიკატის გაცემა (ძველის განახლება) ხორციელდება იმავე წესით.

მუხლი 9. რეგულირების საფასური

ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების სარეალიზაციო სააგენტო სახელმწიფო რეგულირებისათვის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას უხდის რეგულირების ყოველწლიურ საფასურს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 10. მომსახურების საპროცენტო განაკვეთი

1. სამგზავრო მოცულობის რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება სააგენტოსა და ავიაგადამზიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. საპროცენტო განაკვეთის მინიმალური ოდენობა შეადგენს 5 (ხუთ) პროცენტს.

მუხლი 11. სააგენტოს უფლებები სააგენტოს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს სამგზავრო მოცულობის რეალიზაცია მოქმედი კანონმდებლობის და IATA-ს რეკომენდაციებით განსაზღვრული პირობების დაცვით;

ბ) მოითხოვოს სააგენტოს საქმიანობის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;

გ) ავიაგადამზიდველთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, აწარმოოს სამგზავრო მოცულობების დაჯავშნა და რეალიზაცია;

დ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

მუხლი 12. სააგენტოს ვალდებულებები:

სააგენტო ვალდებულია:

ა) აწარმოოს საჰაერო ხომალდის სამგზავრო მოცულობების რეალიზაცია, მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ გაცემული სერტიფიკატის მიღების შემდეგ;

ბ) აწარმოოს სამგზავრო მოცულობის რეალიზაცია მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) დაიცვას ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) სამგზავრო მოცულობების რეალიზაცია განახორციელოს მხოლოდ ავიაგადამზიდველის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული (დადგენილი) ტარიფებით და განრიგებით. ეს დამტკიცებული ტარიფები და განრიგები შეადგენენ სააგენტოსა და ავიაგადამზიდველს შორის სამგზავრო მოცულობის რეალიზაციაზე დადებული ხელშეკრულების (შეთანხმების) სავალდებულო დანართს.

ამ ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობის რეალიზაციაზე, რომლებიც არიან IATA-ს წევრები და არ ახორციელებენ რეგულარულ ფრენებს საქართველოში.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ფაქტ ობრივად მფრენ და უცხო ქვეყნის იმ ავიაგადამზიდველს, რომელიც არ ახორციელებს რეგულარულ ფრენებს საქართველოში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები კოდების, დოკუმენტების ურთიერთაღიარებაზე და შემოსავლების განაწილებაზე (INTERLINE KODE SHEARE, SPA) და მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება ამ ავიაგადამზიდველთა რეისების შეპირაპირებით, მაშინ ასეთი გადაყვანის ჯამური ტარიფი, მოქმედი კანონმდებლობის და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად მტკიცდება (დგინდება) საჯარო სამსახურის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ;

ე) დაუყოვნებლივ აცნობოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას და დაინტერესებულ ავიგადამზიდველებს იმ ცვლილების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სამგზავრო მოცულობების რეალიზაციის ტექნოლოგიაზე;

ვ) აცნობოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიმდინარე დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ზ) არ დაუშვას მინიჭებული უფლებების სხვა პირისადმი გადაცემა;

თ) განახორციელოს სამგზავრო მოცულობის რეალიზაცია მხოლოდ ავიაგადამზიველთან და/ან სხვა სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ;

ი) ყოველკვარტალურად წარუდგინოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას დადგენილი ფორმის სტატისტიკური მონაცემები;

კ) გააჩნდეს და პირველი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მომხმარებელს:

- მგზავრთა საბაჟო, სასაზღვრო, საკარანტინო და სხვა მაკონტროლებელი სამსახურების მომსახურების ძირითადი მოთხოვნები;

- ავიაგადამზიდველის მგზავრთა გადაყვანის, ბარგის და ტვირთის გადაზიდვის წესების ძირითადი მოთხოვნები;

ლ) მგზავრის სურვილის შემთხვევაში შეუფერხებლად უზრუნველყოს, მგზავრის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, მოქმედი კანონმდებლობით და ავიაგადამზიდველის მიერ დადგენილი წესით გათვალისწინებული ოდენობით, უშუალოდ სააგენტოში ან საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მგზავრობის საწყის აეროპორტში;

მ) გააჩნდეს ავიაგადამზიდველთა ფრენის განრიგი, მომსახურების სერვისის სახეობანი და მისცეს მომხმარებელს შესაბამისი განმარტებანი;

ნ) დაეხმაროს თავიანთი მოვალეობის შეუფერხებელ შესრულებაში სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის

იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც ახორციელებენ სააგენტოს საქმიანობაზე ზედამხედველობას;

ო) აწარმოოს ყოველთვიური შედარება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის შესაბამის განყოფილებასთან მის მიერ სარეალიზაციოდ გამოსაყენებელი ტარიფების სიზუსტეზე;

პ) ახალი ტარიფების მიღების შემთხვევაში იმოქმედოს ამ მუხლის „ე“ და „ო“ პუნქტების შესაბამისად;

ჟ) სააგენტოებისათვის საქართველოს ავიაციის ადმინისტრაციის მიერ დაუმტკიცებელი ტარიფების გამოყენება დაუშვებელია;

რ) დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გაუქმების შესახებ დაინტერესებულ ავიაგადამზიდველებს და სააგენტოებს;

ს) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

მუხლი 13. სერტიფიკატის გაუქმება

1. სააგენტოს სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია:

ა) განცხადება;

ბ) ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნების, უფლებების და ვალდებულებების დარღვევა;

გ) თავის საქმიანობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც არ ითვალისწინებს ავიაგადამზიდველთა სამგზავრო მოცულობების რეალიზაციას;

დ) სააგენტოს ლიკვიდაცია;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაუქმების შესახებ, მისი გამოტანიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება სააგენტოს და შესაბამის საგადასახადო ინსპექციას, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

3. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას, სააგენტოსათვის სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში, უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრში შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 14. დავები

სერტიფიკატის გაცემასთან და მის გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი, რომელზედაც შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული მხარეებს შორის, წყდება სასამართლოს მიერ.